ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის სასწავლო ნაწილის ანგარიში კურიკულუმის მონიტორინგის შედეგები

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე სკოლაში განხორციელებულ აქტივობებს და სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

მონიტორინგი განხორციელდა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, მას შემდეგ რაც დამტკიცდა საფეხურის კურიკულუმები, მონიტორინგმა მიიღო უფრო გეგმიური და სისტემური ხასიათი, მომავალი სასწავლო წლისათვის გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედოს კურიკულუმი, გაიწეროს რისკები და რისკების გათვალისწინებით შედგეს კურიკულუმის მონიტორინგის გეგმა, რომელიც დეპარტამენტების ანგარიშებთან ერთად მოგვცემს სრულყოფილ სურათს, თუ რამდენად სწორად და მიზნობრივად დაიგეგმა კურიკულუმი, რამდენად დაგეგმილთან შესაბამისობაში მოხდა მისი დანერგვა და დანერგვის შედეგების ანალიზი რამდენად არის სკოლისთვის დამაკმაყოფილებელი.

2023-2024 სასწავლო წელი დაიწყო არსებული კურიკულუმების რევიზიით და ახალ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანით. კურიკულუმის შეფასება ჰოლისტური პროცესია, შესაბამისად პირველ რიგში გადამოწმდა, იყო თუ არა ყველა კურიკულუმი ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და ყველა თემაში თუ მუშავდებოდა ყველა სამიზნე ცნება. რამდენად სწორად იყო შერჩეული დამხმარე რესურსები. რევიზიამ გამოავლინა რომ გადამუშავებას საჭროებდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები. 2023წ წლის ოქტომბერში დეპარტამენტმა იმუშავა აღნიშნული მიმართულებით. დეპარტამენტის ოქმებით დასტურდება, რომ დეპარტამენტის ფარგლებში ყველა კურიკულუმი იქნა გაზიარებული და მოწონებული. ამის შემდეგ კურიკულუმის დანერგვისა და ამ პროცესში გამოვლენილი გამოწვევების მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა. საათობრივ ბადესა და საგაკვეთილო ცხრილში გაწერილი საათები გადამოწმდა კურიკულუმში მოცემულ საათობრივ დატვვირთვასთან, რამაც გვაჩვენა რამდენად დაგეგმილი პროცესი ზუსტად რეალიზდებოდა პრაქტიკაში.

კურიკულუმის შეფასების ერთ-ერთ მიმართულებად არჩეული იქნა ასევე საგაკვეთლო პროცესზე დაკვირვება, რაც გვაძლევდა ინფორმაციას იმაზე, თუ რამდენად იყო ის თემები საინტერესო მოსწავლეებისათვის რაც იყო კურიკულუმში ასახული, რამდენად აქტივობები იძლეოდა მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას, რამდენად დაგეგმილი აქტივობები იძლეოდა საკითხის ღრმად და საფუძვლიანად გააზრების საშუალებას, ცოდნის აგების შესაძლებლობას. თითოეული მოსმენილი გაკვეთილის შედგომ ხდებოდა მასწავლებელთან გასაუბრება და უკუკავშირის მიცემა.

კურიკულუმის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე კარგი ინსტრუმენტი იყო მოსწავლის სასწავლო შედეგების შემოწმება და ანალიზი. ამისთვის სკოლაში ჩატარდა 3 დიაგნოსტიკური წერა. ყველა კლასსა და ყველა საგანში გარდა სპორტისა. დიაგნოსტიკური წერა ჩატარდა წერითი ფორმით და იყო ტესტური. ძირითადად ამოწმებდა ფაქტობრივ ცოდნას რაც შეიძლება პირველი ეტაპისთვის ჩავთვალოთ რომ მნიშვნელოვანია, თუმცა მომდევნო სსწავლო წლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ დიაგნოსტიკურ წერის დავალებასაც ჰქონდეს კომპლექსური ხასიათი. დიაგნოსტიკურმა წერებმა გამოავლინა, რომ მეტი მუშაობა არის საჭირო წაკითხულის გააზრებასა და ლექსიკური მარაგის შევსებაზე.

დაგეგმილის შესაბამისად, ყველა კლასში ჩატარდა შემაჯამებელი დავალებები. შემაჯამებელ დავალებებში (პირველი მეხუთე კლასი. მეხუთე კლასის პირველი სემესტრი) ნიშანი არ იწერებოდა (თუ იწერებოდა მხოლოდ განმავითარებელი მიზნებისათვის)

მეხუთე კლასის მეორე სემესტრსა და მეექვსე კლასში იწერებოდა ნიშანი. მასწავლებლებს შემაჯამებელი დავალებები შესწორებული აქვთ და კომენტარები/უკუკავშირები გაკეთებულია ინდივიდუალურად თითოეული მოსწავლისათვის.

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებამ და მასწავლებელთა მიერ მართულმა პროცესის შეფასებამ, რომელიც კურიკულუმის წარმატებით დანერგვის მნიშვნელოვანი პირობაა, გამოავლინა, რომ მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ მხარდაჭერას კლასის მართვის, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა და მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლებისა და შენარჩუნების მიმართულებით. გამოვლენილი საჭროებების საფუძველზე დაიგეგმა და ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები სკოლის შიდა ძალებით. მნიშვნელოვვანია, რომ ახალ სასწავლო წელს მოხდეს დაკვირვება თუ რამდენად იყენებენ მასსწავლებლები საგაკვეთლო პროცესში ტრენიგრბზე მიღებულ გამოცდილებას. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისას ყურადღება მახვილდებოდა ასევე, თუ რამდენად მიზნობრივად იყენებდნენ მასწავლებლები ციფრულ სასწავლო რესურსებს. ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა, რომ მასწავლებელბი თავად ქმნიან საკმაოდ საინტერესო რესურსებს იტერაქციულ პრეზენტციებს და მათი დახმარებით ბევრად საინტერესო გაკვეთილებს ატარებენ, თუმცა ნაკლებად იყენებენ შებრუნებეული საკლასო ოთახის პრინციპს და საგანმანათლებლო პლათფორმებს.

რაც შეეხება კურიკულუმებში გაწერილ საგანმანათლებლო რესურსებს, აქაც მნიშვნელოვანია მოხდეს მრავალფეროვნების შეტანა.

ამრიგად, დასკვნის სახით მიმდინარე სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავება/დანერგვის მხრივ საკმაოდ ბევრი და კარგი ღონისძიება განხორციელდა, ახალი სასწავლო წელი ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. მნიშვნელოვანია რომ სასწავლო წლის დასაწყისში გადაიხედოს არსებული კურიკულუმები და წლის მანძილზე დაგროვებული მიგნებები აისახოს, გაგრძელდეს მასწავლებლებზე დაკვვირვება ერთის მხრივ იმის გათვალისწინებით რომ შეფასდეს კურიკულუმების დანერგვის პროცესი და მეორეს მხრივ გამოვლინდეს მასწავლებელთა საჭიროებები, რათა სკოლამ დროულად გაუწიოს მხარდაჭერა, სადიაგნოსტიკო წერების დავალებები გახდეს უფრო კომპლექსური ხასიათის.